საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3584
18/07/2022

3584-21-2-202207181513

შპს „მნ კომპანის“
მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ზ. ჭავჭავაძის ქ. №9, ბ. №21
ელ. ფოსტა: davitirobaqidze2@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №16504 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყვიბისში, მდ. მტკვრის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილია ორი დოკუმენტი („სკრინინგის ანგარიში“ და „განმარტებითი ბარათი“), სადაც, მოცემულია ურთიერთშეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია:

- „შესავალში“ მითითებულია, რომ მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ორ უბანზე იგეგმება ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, ფლეთილი ქვების (ქვანაყარი) ბერმის აგება, ხოლო „სამუშაოთა მოცულობის კრებსით უწყისში“ აღნიშნულია, რომ მოეწყობა ნაპირდამცავი დამბა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი;
- „ნაპირსამაგრის საპროექტო მახასიათებლების“ თავში მითითებულია, რომ პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 1027 მეტრს, ხოლო მეორე უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე - 322 მეტრს. ამასთან, „განმარტებითი ბარათში“ აღნიშნულია, რომ პირველი უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე შეადგენს 351 მეტრს, ხოლო მეორე უბნის ნაპირსამაგრი კონსტრუქციის სიგრძე - 1039 მეტრს. შესაბამისად, დასაზუსტებელია თითოეულ უბანზე გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგრძე;
- „კონსტრუქციული ნაწილის“ თავში წარმოდგენილი ორივე უბნის GPS კოორდინატები საჭიროებს დაზუსტებას;
- „გარემოზე შესაძლო ზემოქმედებისა და შეფასების“ თავში აღნიშნულია, რომ ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები განხორციელება ერთი წლის განმავლობაში, ხოლო „განმარტებით ბარათში“ სამშენებლო სამუშაოების

განხორციელების ვადად განსაზღვრულია 4 თვე. შესაბამისად, დასაზუსტებელია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა;

- „ბიომრავალფეროვნების“ თავში მითითებულია, რომ სამშენებლო სამუშაოების დროს ხე-მცენარეების მოჭრა არ იგეგმება, ხოლო „განმარტებით ბარათში“ აღნიშნულია, რომ მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპზე მოხდება ბუჩქნარისა და წვრილი ხეების გაჩეხა-ამოძირკვა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების შესახებ ინფორმაცია (სახეობებისა და რაოდენობების მითითებით);
- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების და მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია (ტიპებისა და რაოდენობების მითითებით);
- დოკუმენტში, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით (20-22 მ), მოცემული უნდა იყოს ხმაურისა და მტვრის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო